



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის მენეჯმენტი, მაგისტრატურა

სსიპთბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ) 06.07-9.08

დასკვნის წარდგენის თარიღი 19.08.2021

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაციის მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413.2.8 ფარმაციის მენეჯმენტი Pharmacy Management
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #225; 03.12.2019;

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია ალავიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

06/07/2021 წლის №MES8210000750775 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსც დაევალა სსიპ თბილისის სახელმწიფო სასაქონლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა.

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 2011 წლიდან. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 3 დეკემბრის #225 გადაწყვეტილებით ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სწავლებისთვის გამოყოფილი 120 კრედიტიდან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 90 კრედიტს(75%), ხოლო კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტს (25%). პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, მარკეტინგული კვლევის, ფარმაკოეკონომიკისა და ფარმაცევტული ზრუნვის შესახებ.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ, შესაბამისი მიმართულებით, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი განხორციელდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კერძოდ სსპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ა/წ 29/07-ში შესაბამისი დოკუმენტაცია და ინსტრუქციები გადმოგვეგზავნა ექსპერტებს, რომლის

შესწავლის შემდეგ ჩვენს მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომლის მოწოდებაც ლოგიკურ ვადებში უზრუნველყო ცენტრმა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და ასახულია წინამდებარე დასკვნაში

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შემოწმდა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის 1, 2, მე-3 სტანდარტის 3.2 კომპონენტთან და 4 სტანდარტის ნაწილში სრულად. შესაბამისად დადგინდა, რომ პროგრამა:

- ✓ **პირველი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- ✓ **მეორე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა 2.2 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- ✓ **მესამე სტანდარტი** - არ შეფასებულა 3.1 ქვესტანდარტი, ხოლო 3.2 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- ✓ **მეოთხე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ამასთან 4.4 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- ✓ **მეხუთე სტანდარტი** - აღნიშნული სტანდარტი არ შეფასებულა.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი;
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მოხდეს პროგრამის საჭიროებების დაფინანსების მიზნობრიობის და მოცულობების დეტალიზაცია;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მეტად იქნეს გამოყენებული ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნები, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდის პროგრამის სწავლის შედეგებს;

- სასურველია სრულად იქნეს განახლებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ამსახველი ინფორმაციის ნაწილში;
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ბოლო აკრედიტაციის შემდეგ მოხდა პროგრამის გარკვეული გაუმჯობესება, კერძოდ მოხდა პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დაემატა პროექტების დაგეგმვა და მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას. გარდა ამისა, პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დახვეწილია წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, კერძოდ გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ის მისიის, ხედვის, ღირებულებების, მიზნისა და სტრატეგიულ გეგმის შესაბამისად, „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, მარკეტინგული კვლევის, ფარმაკოეკონომიკისა და ფარმაცევტული ზრუნვის შესახებ, რითაც ხელს შეუწყობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებას; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფარმაცევტა საერთაშორისო ფედერაციის თანამედროვე სტანდარტების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების მიზნით, კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნული და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისა და ფარმაცევტული ბაზრის ფორმირების სრულყოფისა და ფარმაციის დარგის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. პროგრამა უზრუნველყოფს:

- კურსდამთავრებულთა აღჭურვას ღრმა და სისტემური ცოდნით;
- ფარმაციაში მენეჯმენტის მეთოდებისა და მართვის სისტემების შესახებ;
- ფარმაციაში კონკურენტუნარიანი მარკეტინგული სტრატეგიისა და ტაქტიკის, მარკეტინგული კვლევის შესახებ;
- ფარმაცევტული ბიზნესის, ფინანსების საფუძვლების და ფარმაკოეკონომიკის შესახებ;
- მაღალი კვალიფიკაციის „ფარმაციის მენეჯმენტის“ მაგისტრების მომზადებას,

რომლებიც შემდგომ და მოუკიდებლად განახორციელონ:

- მაღალი დონის მენეჯერული საქმიანობები: ფარმაცევტული პროდუქციის მომარაგების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების, მატერიალური, სასაქონლო ფინანსური რესურსებისა და ფარმაცევტული დაწესებულებების, რაციონალური ფარმაცოთერაპიის შესახებ მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მართვა და ზედამხედველობა;
- კონკურენტუნარიანი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელება ფარმაცევტული საქმიანობის ისეთ სეგმენტებში, როგორცაა: ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება, დისტრიბუცია, ავთიაქი, იმპორტი, ხარისხის კონტროლი, ლოჯისტიკა, ფარმაცოეკონომიკური მიმართულებით საქმიანობა;
- თანამედროვე მეთოდებითა და უახლესი მიდგომების გამოყენებით, ფარმაციის სისტემაზე/ორგანიზაციაზე მოქმედი გარე და შიდა გამოწვევების კვლევა, ადმინისტრირება და მიღებული შედეგების კრიტიკულ ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ ან/ ინგლისურ ენაზე, ლიბერალური ღირებულების შეფასება, მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება. პროფესიულ საქმიანობაში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ახალი იდეების გენერირება და გზების ძიება;
- მათ საშუალება ექნებათ, გააგრძელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სწავლა განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.

შესაბამისად: პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა: <https://tsmu.edu/ts/images/dxp/strategiuliganviTarebis-gegma-5afbecc135dae.pdf>;
- ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;

#### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):



მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს იმ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რის საფუძველზეც ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი დამოუკიდებლად შეძლებს ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საქმიანობის ეფექტურ მართვაში ჩართვას (მენეჯმენტის უნივერსალური ფუნქციების, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელების პროცესში), კონკურენტუნარიანი მარკეტინგული და ფარმაცოეკონომიკური კვლევების განხორციელებას, რაციონალური ფარმაცოთერაპიის შესახებ მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მართვას და ზედამხედველობას, ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზის ჩატარების მართვას და ზედამხედველობას, ახალი იდეების სიღმისეულ გაცნობიერებას, ინფორმაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას და სტატისტიკურ დამუშავებას, ფარმაციის პოლიტიკის, კარგი ფარმაცევტული პრაქტიკების, ხარისხის სისტემის, ფარმაცოზედამხედველობის, ფარმაცოეკონომიკური, მენეჯმენტის, მარკეტინგის მიმართულებით განხორციელებული კვლევის შედეგების შესახებ პროფესიულ საზოგადოებასთან და მომხმარებელთან ინფორმაციის მიწოდებას და დისკუსიას, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ მიმართულებებით ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, პროფესიული მასალის

მოძიებას და პრეზენტაციის გაკეთება ქართულ /ან ინგლისურ ენაზე. ამასთან, კარგი იქნებოდა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მეტად ყოფილიყო გამოყენებული ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნები, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდიდა პროგრამის სწავლის შედეგებს, კერძოდ თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფარმაციის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება სასწავლო წელიწადში ერთხელ. კვლევის შედეგები და შეფასებები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და განთავსდება ვებ გვერდზე; თსსუ -ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის N24 /4 დადგენილებით დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც წარმოადგენს შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობას. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების პირველი შეფასება ამ წესის შესაბამისად განხორცილდება 2022 წლის 1 ივლისამდე. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ამ წესის შესაბამისად პროგრამა შეიმუშავებს შედეგების შეფასების გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება შეფასების ადექვატურ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც მოგვცემს „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მეტად იქნეს გამოყენებული ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნები, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდიდა პროგრამის სწავლის შედეგებს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

**შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მაგისტრატურის შესახებ. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდების ჩაბარება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში დადებითი შედეგების საფუძველზე. სპეციალობაში გამოცდა ტარდება ტესტირებით და მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკის, კლინიკური ფარმაციის, ფარმაცევტული მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლების) საკვანძო საკითხებს; ინგლისურ ენაში გამოცდა ტარდება ტესტირებით (B2 დონე).

ზემოტაღნიშნულიდან, გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამაზე განსაზღვრულია დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. “ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, რაც გულისხმობს პროგრამის ძირითად საგნებს – 60 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა -18 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები -12 კრედიტი. მეოთხე სემესტრი სრულად ეთმობა კვლევით კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა შეესაბამება ასათვისებელი მასალის სირთულეს, რაოდენობასა და სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და სწავლების შედეგების მიღწევას, შეესაბამება ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიას და სპეციფიკას. პრაქტიკული კომპონენტის (18 კრედიტი) განხორციელება ხდება კომპანია „კსკ“ და შპს „ავერსის“, შპს „ნეოფარმის“ ბაზებზე, შპს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე. ამასთან, ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>○ ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;</li> <li>○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დაემატა პროექტების დაგეგმვა და მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას. გარდა ამისა, პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.</p>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> <b>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, სხვადასხვა სწავლა/სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი) შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და მისაღწევ სწავლის შედეგებს და ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრის მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აქცენტირებულია ფარმაციის თანამედროვე პრინციპებზე; სასწავლო კურსები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში და ცნობილია მაგისტრანტებისათვის. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სოციალური ფარმაციის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ფარმაკოეკონომიკის, ფარმაცევტული ზრუნვის, ფარმაცევტული ბიზნესის აქტუალურ მიღწევებზე, სიახლეებზე, თანამედროვე კვლევის მეთოდებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;
- თსსუ-ის ვებ გვერდი: [www.tsmu.edu](http://www.tsmu.edu)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა „ფარმაციის მენეჯმენტი“, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით არის გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი 18 კრედიტის მოცულობით და კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად და გადნაწილებული სამ სემესტრში: ავთიაქში და საწარმოში პრაქტიკები და სტაციონარში. პრაქტიკები ხორციელდება კომპანია „პსპ“ და შპს „ავერსის“, შპს „ნეოფარმის“ ბაზებზე, შპს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - ლექტორი და პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელი - ორგანიზაციის წარმომადგენელი. პრაქტიკის ბოლოს სტუდენტი წარმოადგენს სრულად გაფორმებულ დღიურს დაწესებულების ბეჭდით, დაწესებულების ხელმძღვანელისა და/ან პრაქტიკის ზედამხედველის ხელმოწერით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე. პასიური პრაქტიკის დროს სტუდენტი უმეტესწილად პრაქტიკის ადგილზე პროცესების დამკვირვებლის როლშია ან ასისტირებას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელს. აქტიური პრაქტიკის დროს კი, თავად გეგმავს და ახორციელებს



პრაქტიკულ აქტივობებს პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით.

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოადგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომელიც სრულდება სწავლების ბოლო სემესტრში და ახდენს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთგვარ ასახვას სამაგისტრო ნაშრომში ჩატარებულ კვლევაში. შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ დებულების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის დოქტორი ან მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, ხოლო თანახელმძღვანელი - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც მაგისტრანტს გაუწიოს ხელმძღვანელობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, თვალყური ადევნოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესს, საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს კონსულტაციები, უზრუნველყოს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულება და დასაცავად წარდგენა განსაზღვრულ ვადებში. სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის აქტუალობა, მიზანი, ამოცანები, კვლევის საგანი და მეთოდები, კვლევის შედეგები, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი თემას წარმოადგენს ელექტრონული პრეზენტაციის („Power point“-ით) ფორმით და აქცენტს აკეთებს თემის აქტუალობაზე, მიზანსა და ამოცანებზე. დაცვაზე უნდა აღინიშნოს კვლევის საგნის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის ობიექტები და მეთოდები, შედეგები და დასკვნები.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში, 25/01/2021;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 30/09/2019;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ დებულება - [https://tsmu.edu/ts/images/dxp/15869750\\_1558697500.pdf](https://tsmu.edu/ts/images/dxp/15869750_1558697500.pdf)

<ul style="list-style-type: none"> <li>○ თსსუ-ის ვებ გვერდი: <a href="http://www.tsmu.edu">www.tsmu.edu</a>;</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო კურსისთვის რელევანტური და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდებით, კერძოდ პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი სწავლებისა და სწავლის მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დისკუსია/ დებატები - უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.</li> <li>○ ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.</li> <li>○ გონებრივი იერიში (brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის</li> </ul>

ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე); • გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა;

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- შემთხვევის ანალიზი – (case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ფარმაციის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის მიერ წამლის მიღებისა და გვერდითი მოვლენების განხილვა და სხვა.
- დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორ-მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა, მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

- ახსნა – განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული მაგალითის ფარგლებში.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- პრაქტიკული მეთოდები – სწავლების პროცესში, სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიებას და მის დამუშავებას.
- ვერბალური მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა ზეპირად მულტიმედიური მასალის გამოყენებით, ობიექტების, მოვლენების, პროცესების, სქემების ანიმაციური ჩვენებით. სწავლის პროცესში გამოიყენება: ინტერაქტიული ტექნოლოგიები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემური ლექცია – მასალის გადაცემა რეჟიმში „მონოლოგი– დიალოგი“ და სხვა.
- წერითი მუშაობის მეთოდი –სწავლების პროცესში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ ჩანაწერები ახალი მასალის, შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ.

